საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7555
08/09/2023

7555-21-2-202309081227

შპს „ნერგს“
მის: ქალაქი ბათუმი, მ. აბაშიძის ქუჩა, №48, სართული 1
ელ. ფოსტა: shota776.sm@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7691 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ შპს „ნერგი“ ლურჯი მოცვის პლანტაციის მოწყობას გეგმავს კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.25.08.276), რისთვისაც გათვალისწინებულია სამელიორაციო სისტემის მოწყობა. დოკუმენტში წარმოდგენილი GPS კოორდინატების გადამოწმებით დგინდება, რომ სარწყავი სისტემის შემადგენელი 3 500 m^3 მოცულობის მქონე წყალშემკრები და ფერტიგაციის რეზერვუარები, ასევე, ჭაბურღილი და მილსადენის გარკვეული ნაწილი ხვდება მომიჯნავედ, შპს „ლურჯი მოცვის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.25.08.263). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის (სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია) განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
- დოკუმენტის მე-4 თავში აღნიშნულია, რომ „ნიადაგის დაცვის კუთხით, წარმოქმნილი საქმიანობის შედეგად არ არსებობს რისკფაქტორები, ვინაიდან, სარწყავი სისტემის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან“, ხოლო მე-5 თავში მითითებულია, რომ „მაგისტრალური და დამხმარე მილები ჩალაგებული იქნება 50 სმ სიღრმის ტრანშეაში“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ტრანშეის მოსაწყობად ამოღებული გრუნტისა და მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადების მე-4 თავში მითითებულია, რომ „სარწყავი წყლის აღება განხორციელდება ჭაბურღილიდან, რომელიც მდებარეობს კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე. აღნიშნულ ჭაბურღილზე დაწყებულია სასარგებლო წიაღისეულის აუქციონის წესით შესყიდვის პროცედურები, კერძოდ, მესაკუთრის განაცხადი გაგზავნილია და ველოდებით აუქციონზე მის განთავსებას“. დოკუმენტში

წარმოდგენილი ჭაბურღილის განთავსების GPS კოორდინატების გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული ჭაბურღილის განთავსება დაგეგმილია მომიჯნავედ, შპს „ლურჯი მოცვის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.25.08.263), შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. გარდა ამისა, სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია;

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკისა და სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების მე-5 თავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ჭაბურღილიდან ღია წყლის რეზერვუარი დაშორებული იქნება 565 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული მანძილი შეადგენს დაახლოებით 291 მეტრს. შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს მაგისტრალური მილსადენის სიგრძის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალაღების წერტილიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფნის დეტალური აღწერა, სიტუაციური რუკის თანდართვით და მაგისტრალური და დამხმარე მილსადენების სიგრძეების მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო